# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

*2011 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ სხვადასხვა დასახელების საკანცელარიო საქონლის შესყიდვა*

==========

## გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ქ. თბილისი

2011 წელი

# სარჩევი

1. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები .....- 3
2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები ..... 5
4. დამატებითი ინფორმაცია ..... 9
5. დანართი #1 ---------- 10
6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი . ..... 11

## 1. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

### 1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) პრეტედენტის რეკვიზიტები; (დანართი №1-ის შესაბამისად)
ბ) ფასების ცხრილი;
გ) სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა.
ე) საქონლის ხარისხის სერტიფიკატი;
გ) საქონლის გარანტიის ვადა.

**1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუქტის ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.**

ა) ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს თანმხლები დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 20 დღის განმავლობაში;
ბ) საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ქ. თბილისში ვაჟა ფშაველას გამზირი №72-ში.
გ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მინიმუმ 30 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – „წინადადების მიღება დაწყებულია" მინიჭების ეტაპიდან;
ე) წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება;
ვ) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;.
ზ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

### 1.3 გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

#### 1.3.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ

#### 1.3.2. ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არმიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმის წარმოება:
ბ) ფიზიკური პირის პირადობის მოწმობის ასლი.
გ) ფიზიკური პირისათვის – ნასამართლობის არ ქონის შესახებ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოდან,
რომლითაც დასტურდება, რომ პირი არ არის ნასამართლევი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი თავებით გათვალისწიებული დანაშაულისათვის: თავი XXVI დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და თავი XXXIX სამოხელეო დანაშაული;

**1.3.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

ა) დაზუსტებული ფასების ცხრილი; (ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ)

**შენიშვნა:** საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტები (პუნქტი 1.3) გაცემული უნდა იყოს ტენდერისათვის სტატუსის – „ტენდერი გამოცხადებულია" მინიჭების შემდეგ. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, წერილობითი ფორმით. *(ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ)* პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების შემთხვევაში სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას და მას არ დაუბრუნდება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის თანხა.

არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომელიც თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და სათანადო წესით დამოწმებული ან ლეგალიზებული;

## 2. შესყიდვის ობიექტი. ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები.

2.1. შესასყიდი საქონლის, რაოდენობა და ტექნიკური მონცამები

| № | დასახელება | ტექნიკური მონაცემები | შესასყიდი რაოდენობა | განზომილება | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბორდმარკერის დაფა მაგნიტური (საკიდით) | 40X80 | 2 | ცალი | საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შეძლისყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. |
| 2 | ბორდმარკერის დაფა მაგნიტური (გორგოლაჭებზე) | 90X120 | 5 | ცალი | |
| 3 | კონვერტი | საფოსტო 114/162 90გრ | 14000 | ცალი | |
| 4 | კონვერტი | ქაღალდის A5 | 100 | ცალი | |
| 5 | კონვერტი | ა3 ქაღალდის | 16100 | ცალი | |
| 6 | სავიზიტო ბარათები | კარგი ხარისხის ქაღალდის | 10000 | ცალი | |
| 7 | კონვერტი | A-5 ფორმატის ქაღალდის | 28200 | ცალი | |
| 8 | კონვერტი- | A4 ქაღალდისთვის | 23700 | ცალი | |
| 9 | ბეჭდის მელანი | ლურჯი | 10 | ცალი | |
| 10 | სათლელი | ფანქრის | 10 | ცალი | |
| 11 | ჭიკარტი | ლითონის | 25 | კოლოფი | |
| 12 | კლიფსი | 19მმ, ლითონის | 67 | კოლოფი | |
| 13 | კლიფსი | 25მმ ლითონის | 67 | კოლოფი | |
| 14 | კლიფსი | 32მმ ლითონის | 62 | კოლოფი | |
| 15 | კლიფსი | 41მმ ლითონის | 62 | კოლოფი | |
| 16 | კლიფსი | 52მმ ლითონის | 42 | კოლოფი | |
| 17 | კლიპფაილი | დამჭერით ა4 | 50 | ცალი | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18 | პლანშეტი | ა4 ფორმატისათვის | 1500 | ცალი |
| 19 | სტეპლერის სკობი | 23/6; | 35 | კოლოფი |
| 20 | სტეპლერის სკობი | 23/8; | 35 | კოლოფი |
| 21 | სტეპლერის სკობი | 23//10. | 30 | კოლოფი |
| 22 | სტეპლერის სკობი | 23/13, №0013 | 52 | კოლოფი |
| 23 | სტეპლერის სკობი | №24-6 20ფ. | 560 | კოლოფი |
| 24 | სტეპლერი დიდი | 100 ფურცლიანი | 5 | ცალი |
| 25 | სტეპლერი | №24/6 20ფ (80გრ).DL-0312 | 100 | ცალი |
| 26 | სტეპლერის სკობი | №10 (პატარა) | 170 | კოლოფი |
| 27 | სკრეპი | №3 ნიკელის DL-0018 ლითონის | 50 | კოლოფი |
| 28 | ანტისტეპლერი | DL-0231 | 70 | ცალი |
| 29 | მაგიდის საკანცელარიო კომპლექტი | (პატარა) პლასტმასი, ჩასალაგებელი, კალამი, მაკრატელი, ფანქარი,ჭიკარტი, სათლელი, საშლელი | 60 | ცალი |
| 30 | ორგანაიზერი | ტყავის. კალამი, კალმის ჩასადები, საკანცელარიო თარო ხის, ჩასანიშნი ფურცლების ჩასადები, საკანცელარიო დანა, ტყავის დასაფენი | 10 | ცალი |
| 31 | მაგიდის საკანცელარიო კომპლექტი | დიდი, პლასტმასი, ჩასალაგებელი, კალამი, მაკრატელი, ფანქარი,ჭიკარტი, სათლელი, საშლელი | 30 | ცალი |
| 32 | მაგიდის საკანცელარიო თაროები | პლასტმასი ა4 ფორმატის | 130 | ცალი |

საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შეძენისყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 33 | საოფისე დაფის მარკერი | პლასტმასი, შავი, ლურჯი, წითელი, ყვითელი | 120 | კომპლექტი | |
| 34 | cd მარკერი | პლასტმასი, შავი, ლურჯი, წითელი, ყვითელი | 600 | კომპლექტი | |
| 35 | მარკერი | პლასტმასი; წითელი, მწვანე, ლურჯი, ვარდისფერი, ფოსფორის ფერი, | 1400 | ცალი | |
| 36 | საწერი კალამი | ბურთულიანი ტუშის ლურჯი | 400 | ცალი | საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 1 დეკემბრამდე, ეტაპობრივად შეძლისყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. |
| 37 | საწერი კალამი | ბურთულიანი ტუშის შავი | 250 | ცალი | |
| 38 | საწერი კალამი | ბურთულიანი, ლითონის, ფიქსატორით, (ხელმძღვანელის) | 100 | ცალი | |
| 39 | საწერი კალამი | ბურთულიანი ლურჯი, 0,7mm. (კარგი ხარისხის) | 2150 | ცალი | |
| 40 | ფანქარი | ხის შავი ფერის | 700 | ცალი | |
| 41 | გამომთვლელი მანქანა | სამაგიდე (საშუალო ზომის) | 10 | ცალი | |
| 42 | კორექტორი კალამი მინი | 3,5მმ თეთრი | 245 | ცალი | |
| 43 | სწრაფჩამკერი | ცელოფნით A-4 ფორ. | 340 | ცალი | |
| 44 | დანა | საკანცელარიო (საშუალო ზომის) | 855 | ცალი | |
| 45 | ჩასანიშნი ფურცლები | კვადრატული, თეთრი (პლასტ. ყუთით) | 50 | ცალი | |
| 46 | საშლელი საოფისე | პატარა De-7536 რეზინის | 50 | ცალი | |
| 47 | ფოლგაზე გამოსახულების წამშლელი პასტა | კორექტორი რომაიორ 314 | 10 | ცალი | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 48 | დაფის საწმენდი | პლასტმასის გარეთავსით, საწმენდი მხარე სპეციალური ნაჭრის, ცვლადი. | 30 | ცალი | |
| 49 | ჭიკარტი ფერადთავიანი | ლითონის | 30 | კოლ | |
| 50 | ქაღალდის დამქუცმაცებელი (გამანადგურებელი) საოფისე მანქანა | ა4 ფორ. 10ც. ფურცლის დაქუცმაცების სიმძლავრით, კომპაქტ დისკის დაქუცმაცების ფუნქციით, დაჭრილი ფურცლების ჩასაყრელი პლასმასის ყუთით. | 34 | ცალი | |
| 51 | ბაინდერი | A4 ფორმატის, 500 ფურცლის ტევადობის | 500 | ცალი | |

2.1. პრეტედენტმა საქონელზე უნდა მიუთოთოს გარანტიის ვადა, ხოლო ქაღალდის გამანადგურებელის გარანტის ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი წელი.
2.2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები უნდა შესაბამებოდეს დამტკიცებული სტანდარტს. უნდა იყოს ახალი ქარხნული უხარვეზო მდგომარეობაში და შეფუთვაში. შემსყიდველის (სატენდერო კომისიის) მოთხოვნის შემთხვევაში პრეტედენტმა უზრუნველყოს ნიმუშების წარმოდგენა.

ფასების ცხრილი (დღგ-ს ჩათვლით, ლარი)

| № | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | წარმოშობის ქვეყანა | მწარმოებელი | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | საერთო ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | |

შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება:
ხელმძღვანელის ხელის მოწერა :

შენიშვნა:
ა)სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული გადასახადების გათვალისწინებით. (დღგ-ს ჩათვლით, ლარი)

ბ)საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტმა შესყიდველ ორგანიზაციაში საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილის დაზუსტებული ვარიანტი.

**3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია.**

3.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნვეყოფის საბანკო ან სადაზღვეო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 2% -ის ოდენობით, აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღით და უნდა იქნას წარმოდგენილი შემდეგ მისამართძე ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი №72-ში.

**დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირებისაგან.**

სატენდერო კომისის აპარატის წევრები: გოჩა ფიფია; 877-57-57-80; გრიგოლ თევზაძე; 877-50-78-22; ზვიად მანჯგალაძე 41-24-51.

დანართი: №1.

ა) პრეტედენტის იურიდიული დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი:
ბ) პრეტედენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
გ) ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი:
დ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:
ე) საბანკო რეკვიზიტები:
* ბანკის დასახელება, ფილიალის დასახელება, ბანკის (მფო) კოდი, ანგარიშის ნომერი:

## ხელშეკრულება № ———

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, საქართველოს შსს. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (შემდგომში „შემსყიდველი'') წარმოდგენილი მის სახით და მეორე მხრივ, ——————————————— (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ——————————— სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N SPA---------- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7. „ტექნიკური დავალება“ - N SPA---------- გამარტივებული ელქტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

სხვადასხვა დასახელების ავტომანქანის აკუმულიატორის (შემდგომში „საქონელი“) ტექნიკური დავალების შესაბამისად.

### 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

## 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ----------.

## 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე.
6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 20 დეკემბერის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

## 7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

## 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ----------.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო სსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის - - -- - -- -- - - - - და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი:** **მიმწოდებელი:**